პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

1975
ხუთშაბათი
2
ოქტომბერი
№ 231
(16357)
ფასი
2 კაპ.
1975

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

СКЗ XXV ყრილობის უსასხვლოდ

ხუთწლედის ფინიშს — დამკვრელური ჯემპი!

მუშებს, ინჟინრებს, მეცნიერებს, სსრ კავშირის სტანდარტიზაციის სამსახურების ყველა მუშაკს

ძვირფასო ამხანაგებო!

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო მხურვალედ ულოცავენ მუშებს, ინჟინრებს, მეცნიერებს, სსრ კავშირის სტანდარტიზაციის სამსახურების ყველა მუშაკს ჩვენს ქვეყანაში სახელწიფო სტანდარტიზაციის შემოღების 50-ე წლისთავს.

ნახევარი საუკუნის წინათ სსრ კავშირში სტანდარტიზაციის შეიქმნა ორგანიზაციული და მატერიალური საფუძველი, მას მიენიჭა სახელმწიფო კანონის ძალა, გახდა ტექნიკური პოლიტიკის კონცენტრირებული გამოხატულება, პროდუქციის ტექნიკურ-ეკონომიური მაჩვენებლების ამაღლების, შრომის უსაფრთხო მეთოდებისა და ბუნების დაცვის უზრუნველყოფის ეფექტიანი საშუალება.

სოციალისტური მშენებლობის ყველა ეტაპზე სტანდარტიზაციამ დიდ როლს ასრულებდა სახალხო მეურნეობის განვითარებაში, ხელს უწყობდა ახალი ტექნიკის ბაზაზე წარმოების ხელახალ ტექნიკურ აღჭურვას, საბჭოთა სახელმწიფოს ეკონომიური და თავდაცვითი პოტენციალის განმტკიცებას.

ახლა სსრ კავშირის სახსტანდარტის სამინისტროებისა და უწყებების, საწარმოო გაერთიანებების, ქარხნებისა და ფაბრიკების, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტებისა და საკონსტრუქტორო ბიუროების მუშაკებმა უნდა აამაღლონ სტანდარტების მაორგანიზებელი როლი საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის შემდგომი ზრდის საქმეში, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებაში, პროდუქციის ხარისხის გაუჯობესებაში, აგრეთვე საგარეო-ეკონომიური კავშირურთიერთობის გაფართოებაში, სოციალისტური ეკონომიური ინტეგრაციის კომპლექსური პროგრამის რეალიზაციაში.

სამინისტროებისა და უწყებების, სტანდარტიზაციის ორგანოებისა და სამსახურების უმნიშვნელოვანესი ამოცანაა უფრო სრულად გამოიყენონ საბჭოური და საზღვარგარეთული მოწინავე გამოცდილება სტანდარტების სრულყოფის გზით, ფართოდ დანერგონ გაერთიანებებსა და საწარმოებში პროდუქციის ხარისხის მართვის კომპლექსური სისტემები, გაზარდონ ხარისხისსახელმწიფონიშნიანი ნაკეთობების წარმოება, აამაღლონ მომთხოვნელობა სტანდარტების, საწარმოო და ტექნოლოგიური დისციპლინის დაცვისადმი.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო მტკიცე რწმენას გამოთქვამენ, რომ პარტიული და სამეურნეო ხელმძღვანელები, მუშები, ინჟინრები, მეცნიერები, სტანდარტიზაციის სამსახურების მუშაკები კვლავაც გულმოდგინედ განავითარებენ კომპლექსურ სტანდარტიზაციას, აამაღლებენ სტანდარტების ტექნიკურ დონეს, მიაღწევენ მათს დროულ და სრულ დანერგვასა და დაცვას, დიდ წვლილს შეიტანენ მეიჯნე ხუთწლედის დავალებათა წარმატებით შესრულებისა და სკკპ XXV ყრილობის ღირსეული შეხვედრისათვის გაწეულ სოციალისტურ შეჯიბრებაში.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი — **სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო**



მადნეულის გიგანტის მშენებელთა გამარჯვება

ახალი გამარჯვება მოიპოვეს მადნეულის სამთო-გამამდიდრებელი კომბინატის მშენებლობაზე, რომლის აგებაც გათვალისწინებულია სკკპ XXIV ყრილობის დირექტივებით: 30 სექტემბერს ღამით წარმატებით გაიარა სამრეწველო გამოცდა საწარმოს მეორე რიგის ტექნოლოგიურმა ნაწილმა. სრული დატვირთვით ამუშავდა გამამდიდრებელი ფაბრიკის ორი ახალი წისქვილი.

ეს ამბავი, თქვა საქინფორმის კორესპონდენტთან საუბარში კომბინატის პარტკომის მდივანმა ზ. ცხვედიანმა, მოხდა ვადაზე ადრე, თავდაპირველი გრაფიკის დადგასწრებით, რომელიც კომბინატის მეორე რიგის ამოქმედებას წლის დამლევისათვის ითვალისწინებდა. საწარმოს მშენებლებმა, მემონტაჟეებმა და ექსპლოატაციის მუშაკებმა ორჯერ გადასინჯეს ამოქმედების ვადები: პირველად — მას შემდეგ, როცა მიიღეს სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მილოცვა პირველი რიგის ვადამდე ამოქმედებასთან დაკავშირებით და გადაწყვიტეს ამოქმედების ვადა 7 ნოემბრისათვის გადმოეტანათ, მეორედ — როცა განხილულ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება „სკკპ XXV ყრილობის ღირსეული შეხვედრისათვის სოციალისტური შეჯიბრების შესახებ". ამუშავება ერთი კვირით და მეტად დაჩქარდა. მშენებლობაზე, დასაქმებულმა ყველა შრომითმა კოლექტივმა გადაწყვიტა — კომუნისტმა ფორუმი აღნიშნონ ახალი წარმატებებით.

სამუშაოთა პროცესის კიდევ უფრო ზუსტმა ორგანიზაციამ მშენებლებს საშუალება მისცა შეედგენათ და მკაცრად დაეცვათ უკიდურესად შემჭიდროვებული გრაფიკი. მუშაობის ტემპი დაჩქარდა კომპლექსის ყველა ობიექტზე, მაგრამ უწინარეს ყოვლისა — მის ტექნოლოგიურ ნაწილში. ამის შედეგად მშენებლებმა, მემონტაჟეებმა და ექსპლოატაციის მუშაკებმა უკვე გადადგეს მეტად მნიშვნელოვანი ნაბიჯი — სამშობლოს უპატაკეს მეორე რიგის მოწყობილობის ამუშავება.

მთელი კომპლექსის ამოქმედებამდე ცოტა დროა დარჩა. ყველა სამშენებლო მოედანზე გაჩაღდა სოციალისტური შეჯიბრება, რომელსაც სათავეში „კომუნისტები უდგანან. მოგვარებულია გამჭოლი კონტროლი. მუშაობის შედეგები ჯამდება ყოველდღიურად. შრომის რიტმი დამკვრელურია. (საქინფორმი).

• • •

სურათზე: მადნეულის სამთო-გამამდიდრებელი კომბინატის ხედი.

საქინფორმის ფოტოქრონიკა.

ხუთწლედი შეასრულეს

კასპი. გაერთიანება „ელექტროაპარატის" კასპის ქარხნის კოლექტივმა, რომელიც წარმატებით იბრძვის სკკპ XXV ყრილობის აღსანიშნავად ნაკისრი ვალდებულების ვადამდე შესრულებისათვის, ახალი წარმატება მოიპოვა. ხუთწლიანი გეგმის შესრულება სამშობლოს 22 სექტემბრისათვის უპატაკა. ასევე გადაჭარბებით შევასრულეთ წლევანდელი ცხრა თვის დავალებაც.

კოლექტივმა დაიხვაჭრა თავის შესაძლებლობები და გადაწყვეტა წლის ბოლომდე გეგმის გადამეტებით 3,5 მილიონი მანეთის პროდუქცია გამოშვება. ამ დაპირების შესასრულებლად საწარმოში გაჩაღებულია დამკვრელური შრომა. ეს რედაქციას აცნობეს ქარხნის დირექტორმა ა. გიორგაძემ და პარტორგანიზაციის მდივანმა ო. მაღალაშვილმა.

ბორჯომი. საწარმოო გაერთიანება „ბორჯომის" კოლექტივმა პროდუქციის გამოშვების ხუთწლიანი გეგმა 10 სექტემბრისათვის შეასრულა. გამოშვებულია ერთი მილიარდ 93 მილიონ ბოთლზე მეტი ბორჯომი.

საწარმოს კოლექტივმა, რომელიც სკკპ XXV ყრილობის აღსანიშნავ ვახტზე დგას, ახალი გადიდებული ვალდებულება იკისრა და იმისათვის იბრძვის, რომ ვადაზე ადრე შეასრულოს დაპირება. ეს რედაქციას აცნობა საწარმოო გაერთიანება „ბორჯომის" გენერალურმა დირექტორმა ქ. ხარისპირაშვილმა.

გამარჯვებულთ ულოცავენ

ყველასათვის სასიხარულო

ხუთწლედის უკანასკნელ ორ წელიწადში სახალხო მეურნეობის ყველა დარგში მუშაობა ძირეულად გარდაიქმნა. ამაზე მეტყველებს ის წარმატებები, რომლებიც მოიპოვეს სამრეწველო საწარმოთა, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების კოლექტივებმა,

მეჩაიეთა ესოდენ დიდი წარმატებები საქართველოს მუშათა კლასის გამარჯვებაც არის. ჩვენ, მრეწველობის მუშაკებმა, შეფობა უნდა გაუწიოთ სოფლის მეურნეობის სხვადასხვა დარგებს, თბილისის საავიაციო ქარხნის კოლექტივს სამეფო დახმარებების კარგი გამოცდილება აქვს. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის გადაწყვეტილებების საფუძველზე სამეფო მუშაობას კიდევ უფრო გავაფართოვებთ.

3. ასათიანი,

თბილისის საავიაციო ქარხნის ამწყობი ზეინკალი, სოციალისტური შრომის გმირი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი.

მეცნიერები — მეჩაიეებს

გუშინ პრესაში გამოქვეყნდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მისალმება საქართველოს მეჩაიეებისა და ჩაის მრეწველობის მუშაკებისადმი. მასში ხაზგასმულია ქართველ მეჩაიეთა და ჩაის მრეწველობის მუშაკთა თავდადებული შრომა და მოცემულია ახალ წარმატებათა მოპოვების ნათელი გზა.

აგროტექნიკურ ღონისძიებათა კომპლექსის, მაღალ დონეზე განხორციელებას, მეცნიერულ რეკომენდაციათა დანერგვას უდიდ დიდი მნიშვნელობა აქვს ჩაის უხვი მოსავლის მისაღებად. დარგის მეცნიერები არ დაიშურებენ შემოქმედებითს ძალებს, რათა ხელი შეუწყონ მეჩაიეთა თავდადებულ და ნაყოფიერ შრომას პარტიის XXV ყრილობის შესახვედრად.

თვალსაჩინოა ჩაის ტექნოლოგიაში მომუშავეთა ღვაწლი; დიდია ჩაის გადამამუშავებელთა როლი დღეს, ჩვენი სახალხო მეურნეობის გეგმების შესრულებაში. ქართველ ტექნოლოგთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მათ კარგად გაართვეს თავი ჩაის ამ მოზღვავებულ მოსავალს და ყველაფერი გააკეთეს იმისათვის, რომ ქართული ჩაის სახელი კვლავაც ასახელებდეს სამშობლოს.

ს. ღურმიშიძე,

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვიცეპრეზიდენტი.

გარაქალა მათს მარჯვენას!

ჩვენმა სახელოვანმა მეჩაიეებმა და ჩაის მრეწველობის მუშაკებმა დიდი გამარჯვება მოიპოვეს, მეცხრე ხუთწლედის დამამთავრებელ წელს სამშობლოს დიდებული საჩუქარი მიუძღვნეს. გარაქალა მათს მარჯვენას!

ჩვენ, მხატვრები მივესალმებით ამ სანაქებო შრომითს შემართებას, ჭეშმარიტად სახალხო ენთუზიაზმს. ჩვენი მეჩაიეები წვიმასა და ქარში, თაკარა მზის გულზე შეუპოვრად შრომობდნენ, არ ეპუებოდნენ ამინდის ჭირვეულობას და აი, შედეგი; საქართველოს ამდენი ჩაი სახელმწიფოსათვის არასოდეს მიუყიდია.

ჩვენ მოვალენი ვართ. გამარჯვ კაცის შრომითი შემართება ღირსეულად ავსახოთ ჩვენს ნაწარმოებებში. ჩვენი მართალი, მაღალმხატვრული ტილოები მათი თავგანწირვისა და თავდადების ტოლფასოვანი უნდა იყოს.

ეამრავლოს გარაქას ქართული მინა-წყალზე!

შჩა ჯაფარიძე,

საბჭოთა კავშირის სახალხო მხატვარი.

ვადამდე!

როგორც მოკავშირე რესპუბლიკების ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოები იტყობინებიან, **უკრაინის სსრ, ლიტვის სსრ, მოლდავეთის სსრ, სომხეთის სსრ** და ესტონეთის სსრ სამრეწველო საწარმოთა კოლექტივებმა ვადამდე შეასრულეს პროდუქციის რეალიზაციისა და მეტწილ უმნიშვნელოვანეს სახეობათა ნაწარმის გამოშვების მოცულობის ცხრა თვის გეგმა. (საკდესი).

150 ათასი ტონით მეტი

აზერბაიჯანის სს რესპუბლიკამ შეასრულა სახელმწიფოსათვის ყურძნის მიყიდვის სოციალისტური ვალდებულებანი

აზერბაიჯანის სსრ სოფლის მეურნეობის მშრომელებმა წარმატებით შეასრულეს სახელმწიფოსათვის ყურძნის მიყიდვის სახალხო-სამეურნეო გეგმა და სოციალისტური ვალდებულებანი. დამამზადებელ პუნქტებს ჩაბარდა 650 ათასი ტონა ყურძენი, რაც გეგმას 150 ათასი ტონით აღემატება. სახელმწიფოსათვის ყურძნის მიყიდვა გრძელდება.

ახლა სოფლის მშრომელები მთელ ძალ-ღონეს ახმარენ იმას, რომ დაამთავრონ მოსავლის აღება, მოემზადონ პირუტყვის გამოზამთრებისათვის, შექმნან მტკიცე საფუძველი მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების შემდგომი გადიდებისათვის.

სამახსოვრო ნიშანი „მეცხრე ხუთწლედში შრომითი მამაცობისათვის"



1975 წლის სრულიად საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებით საწარმოების, სამრეწველო-საკვლევი და სხვა ორგანიზაციების კოლექტივების დასაჯილდოებლად დაარსდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის სამახსოვრო ნიშანი „მეცხრე ხუთწლედში შრომითი მამაცობისათვის". ამ ნიშნით დაჯილდოვდებიან კოლექტივები, რომლებსაც 1975 წლის სრულიად საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების შედეგების მიხედვით მიენიჭათ სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშები, და ყველაზე მაღალ მაჩვენებლებს მიაღწიეს პროდუქციის წარმოების ეფექტიანობის ამაღლებისა და ხარისხის გაუმჯობესებისათვის ხუთწლედის საგეგმო დავალებათა შესრულებაში.

სამახსოვრო ნიშნით დაჯილდოებული კოლექტივები შეიტანება სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის სრულიად საკავშირო საპატიო დაფაზე.

ალწერა

სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოს და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის სამახსოვრო ნიშნისა „მეცხრე ხუთწლედში შრომითი მამაცობისათვის".

სამახსოვრო ნიშანი „მეცხრე ხუთწლედში შრომითი მამაცობისათვის" წარმოადგენს ამოზნექილ ხუთქიმიან ვარსკვლავს დაფნის გვირგვინზე, რომელსაც დახვეული აქვს ლენტი. ლენტზე აღნიშნულია მეცხრე ხუთწლედის წლები.

ვარსკვლავის ცენტრალურ ნაწილში მოთავსებულია: წარწერა „მეცხრე ხუთწლედში შრომითი მამაცობისათვის", თავთავიანი რელიეფური ნამგალი და ურო და სახალხო მეურნეობის დარგების სიმბოლური გამოსახულება.

ნიშანი დამზადებულია მოოქრული და მოვერცხლილი ფერადი ლითონისაგან და გამოყენებულია ლალის მინა, ფერადი მინანქარი და დეკორატიული მინერალები.

ნამკერდე ნიშნის ზომებია: სიმაღლე — 300 მილიმეტრი, სიგანე — 285 მილიმეტრი.

პორტუგალიის რესპუბლიკის პრეზიდენტი მოსკოვში

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საბჭოთა მთავრობის მოწვევით 1 ოქტომბერს მოსკოვში ოფიციალური ვიზიტით ჩამოვიდა პორტუგალიის რესპუბლიკის პრეზიდენტი გენერალი ფრანსისკუ და კომტა გომეში მეუღლითურთ.

პორტუგალიის რესპუბლიკისა და საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ალმებით მორთულ აეროდრომზე თვითმფრინავის კიბესთან საპატიო სტუმრებს დახვდნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნ. ვ. პოდგორნი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო, სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრი, საბჭოთა კავშირის მარშალი ა. ა. გრეჩკო.

აეროდრომზე იყვნენ აგრეთვე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილეები ა. მ. კლიჩევი, მ. ა. ისმნოვი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები ი. ვ. არხიპოვი, ზ. ნ. ნურიევი, სხვა ოფიციალური პირნი.

დამხვდურთა შორის იყვნენ პორტუგალიის ელჩი სსრ კავშირში მარიუ ვისოზუ ნეიეში, მთელი რიგი ქვეყნების სსრ კავშირში აკრედიტებულ დიპლომატიურ წარმომადგენლობათა მეთაურები.

სიფრენ მიუდანუ ჩაამწკრივეს სსრ კავშირის ს

200.000 ტონა მარცვლისათვის

მარცვალიც, პერუტყვის საკვებიც!

● გალელ მესიმინდეთა ფვლილი — 3.900 ტონა!
● მხურვალედ იფონებენ, მხარს უჭერენ ხოგელ მესიმინდეთა თაოსნობას

გულდასმით გაეცანით ხობელთა მიმართვას, რომლებიც დასავლეთ საქართველოს მესიმინდეებს, ყველა რაიონის მშრომელებს მოუწოდებენ 15 კალენდარულ დღეში უდანაკარგოდ აიღონ სიმინდის მოსავალი და პირნათლად შეასრულონ სახელმწიფოსათვის მარცვლის მიყიდვის დავალება. ერთსულოვნად ვიწონებთ, მხურვალედ ვუჭერთ მხარს ხობელთა პატრიოტულ თაოსნობას.

ახლა სიმინდი ყველგან ასაღებია. აქა-იქ შერჩეული დავიწყეთ მოსავლის დაბინავება. **წინასწარი ვარაუდით მოსალოდნელია 4.015 ჰექტარი ფართობის თვითეული ჰექტარიდან საშუალოდ მივიღოთ 27 ცენტნერამდე სიმინდი ნაცვლად ვეგმით გათვალისწინებული 21,9 ცენტნერისა და შარშან მიღებული 22 ცენტნერისა.**

ზოგან უფრო მაღალ მოსავალს მოელიან. მაგალითად, ქვემო ბარეულების საბჭოთა მეურნეობაში სიმინდი აღებულ იქნა 8 ჰექტარზე და თვითეულ ჰექტარზე მიღებულია 36 ცენტნერი, ოქუმის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადაში, რომელსაც ბ. შონია ხელმძღვანელობს, მოსავალად მიჩნეული 26 ჰექტარი ფართობიდან თვითეულზე 60 ცენტნერ სიმინდს მიიღებენ.

რაიონში სამარცვლედ სიმინდი ასაღებია 4.015 ჰექტარზე, ხოლო სასილოსედ — 1.300 ჰექტარზე. მოსავლის დროულად დასაბინავებლად ყველგან ფართოდ გაიშალა სოციალისტური შეჯიბრება. კოლმეურნეობა—კოლმეურნეობას ეჯიბრება, ბრიგადა—ბრიგადას, რგოლი—რგოლს, კოლმეურნე — კოლმეურნეს, საბჭოთა მეურნეობის მუშა. **ყველას ერთსულოვანი გადაწყვეტილებაა ნაცვლად ვეგმით გათვალისწინებული 1.300 ტონისა და ადრე ნაკისრი 1.900 ტონისა სახელმწიფოს მიეყიდოთ 3.900 ტონე მაღალხარისხოვანი სიმინდი.** შეჯიბრებაში გამარჯვებულთათვის დაწესდა გარდამავალი დროშები, ვიმპელები, ფასიანი საჩუქრები, აგრეთვე სხვა წამახალისებელი ღონისძიებანი. რაიონული პატრიოტული ორგანიზაცია სათაოში ჩაუდგა სიმინდის უდანაკარგოდ აღებისა და სახელმწიფოსათვის მიყიდვის საქმეში წარმატებების მოსამზადებლად გაჩაღებულ სოციალისტურ შეჯიბრებას. ამ დიდ ლაშქრობაში თავის სიტყვას აბმობენ კომუნისტები, კომკავშირელები, ახალგაზრდობა.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილების — 1975 წლის სიმინდის მოსავლის აღებისა და მარაგების დამზადების უზრუნველყოფის დამატებითს ღონისძიებათა შესახებ" გაცნობის შემდეგ სოფელ პირველი გალის კოლმეურნეობა „კონსტიტუციის" წევრებმა გადაწყვიტეს სახელმწიფოს მიჰყიდონ 170 ტონა სიმინდი ნაცვლად 70 ტონისა. ქვემო ბარეულის საბჭოთა მეურნეობამ ჰექტარზე საშუალოდ მიიღო 28 ცენტნერი სიმინდი, სახელმწიფოს მიჰყიდოს 280 ტონა სიმინდი ნაცვლად ადრე ნაკისრი 200 ტონისა.

რაიონში სიმინდის ჩალას მთლიანად გამოიყენებენ პირუტყვის საკვებად, ნასიმინდარზე გავთიბავთ ბალახს, ხოლო შემდეგ დავთესავთ პირუტყვის საკვებ კულტურებს.

გადაწყვეტილი გვაქვს სიმინდის მოსავლის აღება დავამთავროთ დროულად, უდანაკარგოდ.

ჩვენ მთელ ძალებს დავრაზმავთ იმისათვის, რომ გადამეტებით შევასრულოთ სახელმწიფოსათვის მარცვლეულის მიყიდვის ვალდებულება და ამით საპატიო წვლილი შეეტანოთ საქართველოს მესიმინდეთა მიერ ნაკისრი პირობის შესრულების საქმეში.

გალის რაიონის აქტივის დავალებით:

ბ. გულუა — საქართველოს კპ გალის რაიკომის პირველი მდივანი, **ნ. თოდუა** — რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე, **ა. ფაილოძე** — სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსის მოადგილე, მთავარი აგრონომი, **ლ. შენგელია** — კომკავშირის გალის რაიკომის პირველი მდივანი, **შ. ხარჩილავა** — პირველი გალის კოლმეურნეობა „კონსტიტუციის" თავმჯდომარე, **ბ. ელიავა** — მუხურის კოლმეურნეობის თავმჯდომარე, **ბ. შონია** — ოქუმის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირი ლენინის. ოქტომბრის რევოლუციის, შრომის წითელი დროშის ორდენოსანი, **ჩ. ჯელელია, ა. სარუა** — სოციალისტური შრომის გმირები, პირველი გალის კოლმეურნეობა „კონსტიტუციის" მესიმინდეები.

დმანისის რაიონის მშრომელთა წარმატება

ფართოდ გაშალეს რა სოციალისტური შეჯიბრება სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის, დმანისის რაიონის მშრომელებმა პურეულის კარგი მოსავალი მოიწიეს, ორგანიზებულად დაამთავრეს მკა და შეასრულეს სახელმწიფოსათვის მარცვლეულის მიყიდვის წლიური გეგმა-დავალება. სულ ხუთწლედის დამდეგიდან რაიონში დამზადებულია 7.547 ტონა მარცვლეული, ხუთწლიანი გეგმა-დავალებით გათვალისწინებული 5.760 ტონის ნაცვლად. თავი გამოიჩინეს მეცხოველეობის ფერმების კოლექტივებმაც, რომელებმაც აგრეთვე შეასრულეს სახელმწიფოსათვის რძის მიყიდვის ხუთწლიანი გეგმა. გეგმით გათვალისწინებული 35.245 ტონის ნაცვლად დამზადებულია 35.498 ტონა რძე.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XVIII პლენუმის შემდეგ რაიონში მნიშვნელოვნად დაჩქარდა საკვების დამზადების ტემპი. დაგროვილია 510 ტონა თივა, რაც გეგმის 100 პროცენტს შეადგენს. რეალიზებულია თივის დამზადების და სენაჟის ჩადების წლიური გეგმები. ახლა მომდინარეობს მეცხოველეობის სადგომების მომზადება პირუტყვის ნორმალური გამოზამთრებისათვის.

სოფლის მეურნეობის პროდუქტების უხვი მოსავლის მოწევისა და საკვების დამზადების დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში თავი გამოიჩინეს განთიადის, ვარდისუბნის, მაშავერის, დუნუსის, საათლოს კოლმეურნეობებმა, ეგრისის, დმანისისა და გომარეთის საბჭოთა მეურნეობებმა. (საქინფორმი).

ვალდებულების გადამეტებით

ჩოხატაურის რაიონის მშრომელებმა წლეულს ხეხილის ნარგავებს არ მოაკლეს მზრუნველი ხელი, ნიადაგი დროზე დაამუშავეს, მცენარეები საქიროების მიხედვით შეწამლეს. და შედეგიც ჩინებული ყოფილა. ნაცვლად გეგმა-ვალდებულებით ნაკისრი 3.550 ტონისა მოიკრიფა და სახელმწიფოს მიეყიდა 4.160 ტონა ხარისხოვანი ხილი — ეს „კომუნისტის" რედაქციას აცნობა საქართველოს კპ ჩოხატაურის რაიკომის პირველმა მდივანმა თ. ამეფაძემ.

საზოგადოებრივი აზრის კლუბი

წალენჯიხა. (საკ. კორ.). ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლა წალენჯიხის რაიონში ერთ-ერთ მთავარ პრობლემად არის მიჩნეული. სწორედ ამისათვის არის მოწოდებული პარტიის რაიკომთან შექმნილი საზოგადოებრივი აზრის კლუბი სახელწოდებით — „ვინ გვასახელებს, ვინ გვარცხვენს". კლუბის მუშაობის მიზანია ფართო ხალხოგადებრიობასთან ერთად განხილოს ჩვენი ცხოვრების საჭირბოროტო საკითხები, დასახოს ღონისძიებანი ნაკლოვანებების, დამახინჯებების აღმოსაფხვრელად, შეაქოს, წაახალისოს კეთილსინდისიერი მუშაკები. საზოგადოებრივი აზრის კლუბმა, მაგალითად, რაიონის მშრომელებთან ერთად განიხილა სამედიცინო, სავაჭრო და საყოფაცხოვრებო მომსახურების სფეროში სრული წესრიგის დამყარების საკითხები.

საზოგადოებრივი აზრის კლუბი — „ვინ გვასახელებს, ვინ გვარცხვენს" — ყოველთვიურად შეიკრიბება.

გ. ნოდია.

მშრომელთა ეკონომიური განათლების რესპუბლიკური საკოორდინაციო საბჭოს სხდომა

გაიმართა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მშრომელთა ეკონომიური განათლების რესპუბლიკური საკოორდინაციო საბჭოს სხდომა.

სხდომაზე განიხილეს საკითხები: მშრომელთა ეკონომიური განათლების სისტემაში გასული სასწავლო წლის შედეგები, ახალი სასწავლო წლის მუშაობის ამოცანები და გეგმები, აგრეთვე 1975-1976 სასწავლო წელს რესპუბლიკურ ჟურნალ-გაზეთებში მშრომელთა ეკონომიური განათლების ქსელის პროპაგანდისტთა და მსმენელთა დასახმარებლად მასალების გამოქვეყნების გეგმა.

განხილულ საკითხებზე საბჭომ მიიღო შესაბამისი დადგენილებანი.

მშრომელთა ეკონომიური განათლების რესპუბლიკური საკოორდინაციო საბჭოს მუშაობა შეაჯამა ამ საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ვ. ვადაჭკორიამ. (საქინფორმი).

პარტიული სწავლების ახალი წელი

გუშინ, 1 ოქტომბერს, დაიწყო მეცადინეობა რესპუბლიკის პოლიტიკური და ეკონომიკური განათლების ქსელში. მარტო თბილისში სწავლას შეუდგა 41 ათასი კაცი. პირველმა მეცადინეობამ ჩაიარა ცხოვრებასთან, კომუნისტურ მშენებლობასთან მჭიდრო კავშირის ნიშნით, ხელი შეუწყო მსმენელთა დარაზმვას სკკპ XIV ყრილობის ღირსეულად შეხვედრისათვის.

პროპაგანდისტი ცენტრალური ფიგურაა

პარტიული და ეკონომიური განათლების სისტემაში ახალი სასწავლო წლისათვის მზადება კიროვის სახელობის ჩარხსაშენებელ ქარხანაში გასული სასწავლო წლის დამთავრებისთანავე დაიწყო. პირველ რიგში პარტკომმა უფლებასაც დაკმაყოფილებულ ეფექტს მსმენელთა ჯგუფები. პროპაგანდისტებს წაუყენა მოთხოვნა ემაღლებინათ თეორიული მომზადება და მეთოდიკური ოსტატობა. ყველა სასწავლო კლასი, სადაც მეცადინეობა მოეწყობა, აღჭურვილია სპეციალური სტენდებითა და დამხმარე თვალსაჩინო მასალებით, რაც დაეხმარება მსმენელებს უკეთ აითვისონ შესასწავლი მასალა. სწავლის დაწყებამდე ერთი დღით ადრე ქარხნის თათბირ-სემინარზე სემინარების, წრეებისა და სკოლების ხელმძღვანელებმა განაცხადეს, რომ მზად არიან მეცადინეობის დაწყებისათვის.

380 კომუნისტი ჩაბმულია ათობით სკოლაში, რომლებშიც მეცადინეობა ეწყობა „ეკონომიკური ცოდნის საფუძვლებისა" და „სოციალიზმისა და შრომის" კურსებით, აგრეთვე ოთხ სემინარში, სადაც განიხილავენ ხარისხის, შრომის მეცნიერული ორგანიზაციის, საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ამაღლების საკითხებს. თანამედროვე მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის, ეკონომიკურ და პოლიტიკურ პრობლემებს. პროპაგანდისტთა შორის, რომელთა რიცხვი ოცია, არიან საწარმოს წამყვანი სპეციალისტები — დირექტორის მოადგილე პ. ჩიგოგიძე, მთავარი ინჟინერი გ. ბენდუქიძე, რაციონალიზაციისა და გამოგონებათა ბიუროს უფროსი გ. მაზარაძე და სხვები.

მეცადინეობას ხელმძღვანელობენ პროპაგანდისტი ქალები

გუშინ 700-ზე მეტი პროპაგანდისტი პირველი მეცადინეობას შეუდგა პირველი მაისის რაიონის პოლიტიკური და ეკონომიკური განათლების ქსელში. პარტიის რაიონულმა კომიტეტმა, ყველა პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციამ დიდი მოსამზადებელი მუშაობა გასწიეს. მოეწყო პროპაგანდისტებისა და ლექტორების კურიული, რომლის დროსაც ისტორიის მეცნიერებათა დოქტორმა ე. მინაბდიმ წაიკითხა ლექცია „სრულიად ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის შედეგები", პარტიის რაიკომის პროპაგანდისტა და აგიტაციის განყოფილების გამგემ ნ. ბოკუჩავამ ილაპარაკა ახალ სასწავლო წელს პროპაგანდისტთა ამოცანებზე. „პირველი მაისის რაიონის პროპაგანდისტები იყვნენ საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე, ხალხთა მეგობრობის მუზეუმში, მონაწილეობდნენ სხვა ღონისძიებებში.

საყურადღებოა, რომ 1975 წელს — ქალის საერთაშორისო წელს გაიზარდა ქალ პროპაგანდისტთა რიცხვი. ახლა 200 პროპაგანდისტი ქალი უხელმძღვანელებს მეცადინეობას სკოლებში, წრეებში, სემინარებზე. მათ შორის არიან ქამვოლ-მაუდის კომბინატ „საბჭოთა საქართველოს" ინჟინერი ირა ბოსტოღანაშვილი, საკანდიტრო კომბინატის საამქროს უფროსი ქეთევან უანდარელი, № -2 გიანგარძელიებული დღის სკოლის სასწავლო ნაწილის გამგე თამარ ქურციკიძე, სასწრაფო დახმარების გაერთიანებული საქალაქო საავადმყოფოს ექიმი ლილი როსნაძე და ბევრი სხვა.

იმაღლებენ ეკონომიკურ ცოდნას

ბილისი ს. ორჯონიკიძის სახელობის სამკერვალო ფაბრიკის 600 მუშაკი გუშინ შეუდგა მეცადინეობას პოლიტიკური და ეკონომიკური განათლების სისტემაში. წარსული წლების მაგალითისამებრ მკერავთა [illegible] ლესლამ გადაწყვიტა [illegible] ეკონომიკური ცოდნა, რათა უფრო წარმატებით გამოიყენოს იგი პრაქტიკულად. ეკონომიკური განათლების მასობრივი პროგრამის მიხედვით საწარმოში შექმნილია ექვსი სკოლა, პირველად არის შემოღებული კურსი „სოციალიზმი და შრომა" შვიდი ეკონომიკური სკოლის მსმენელთათვის.

და კიდევ ერთი სიახლე ივნება მომდინარე სასწავლო წელს. ფაბრიკის ხელმძღვანელი კადრებისათვის, განყოფილებათა და საამქროთა უფროსებისათვის შექმნილია „ხელმძღვანელის შრომის" კურსის შემსწავლელი სკოლა. მეცადინეობას ხელმძღვანელებს საწარმოს მთავარი ინჟინერი გ. ლებანიძე.

ფაბრიკის პარტიული ორგანიზაციი მთელი სერიოზულობით მოეკიდა სკოლებისა და სემინარების ხელმძღვანელთა შერჩევას. მაგალითად, „პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების ეკონომიკური პრობლემების" კურსს ხელმძღვანელობს საწარმოო განყოფილების უფროსი ინჟინერი, გამოცდილი პროპაგანდისტი ტ. ცეცაძე.

„სოციალიზმისა და შრომის" კურსებს, ჯეროვანი მომთხოვნელობა არ გამოიჩინა ხელმძღვანელობამ [illegible] ეკონომიკური ცოდნა, რათა უფრო წარმატებით გამოიყენოს იგი პრაქტიკულად. ეკონომიკური განათლების მასობრივი პროგრამის მიხედვით საწარმოში შექმნილია ექვსი სკოლა, პირველად არის შემოღებული კურსი „სოციალიზმი და შრომა" შვიდი ეკონომიკური სკოლის მსმენელთათვის.

და კიდევ ერთი სიახლე ივნება მომდინარე სასწავლო წელს. ფაბრიკის ხელმძღვანელი კადრებისათვის, განყოფილებათა და საამქროთა უფროსებისათვის შექმნილია „ხელმძღვანელის შრომის" კურსის შემსწავლელი სკოლა. მეცადინეობას ხელმძღვანელებს საწარმოს მთავარი ინჟინერი გ. ლებანიძე.

ფაბრიკის პარტიული ორგანიზაციი მთელი სერიოზულობით მოეკიდა სკოლებისა და სემინარების ხელმძღვანელთა შერჩევას. მაგალითად, „პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების ეკონომიკური პრობლემების" კურსს ხელმძღვანელობს საწარმოო განყოფილების უფროსი ინჟინერი, გამოცდილი პროპაგანდისტი ტ. ცეცაძე.

„სოციალიზმისა და შრომის" [illegible] ბოლოს ლესლამ გადაწყვიტა

იცნობდეთ—„სოიუზ—აპოლონის“ ეკიპაჟი

პირველნი...

კოსმოსში უკვე იყო 75 კაცი. დიდია თვითეული მათგანის ღვაწლი სამყაროს უსასრულობის შეცნობაში, მაგრამ მათ შორის ძალზე ცოტანი არიან პირველნი, ისინი, ვინც ახალ საქმეს იწყებდა, როგორც ეხენი, ამ დიდებულ, ცაში ძმადშეფიცულ ხუთეულს ახლა მთელი მსოფლიო იცნობს, იცნობდნენ მანამდე, ცალცალკე თავის დროზე ჩვენმა მკითხველებმაც გაიცნეს თვითეულის ბიოგრაფია. დღეს ისინი საქართველოს სტუმრები არიან, უძველესი სტუმრები. ჩვენ მხოლოდ შეგახსენებთ ზოგიერთ მომენტსა თუ მოვლენას მათი ცხოვრებიდან.

„აპოლონის“ ეკიპაჟი

თომას სტაფორდი,

ხომალდის მეთაური

ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო-საჰაერო ძალების ბრიგადის გენერალი ვეტერფორდში დაიბადა, ოკლაჰომას შტატის პატარა ქალაქში, რომელსაც ყველა რუკაზე როდი იპოვნის კაცი. ახლაც იქ ცხოვრობს ასტრონავტის მოხუცი დედა.

თ. სტაფორდი ასტრონავტი გახდა 1962 წელს, როცა მას ის-ის იყო 32 წელი შეუსრულდა. როცა 1965 წლის მარტში „ჯემინი-3“-ით კოსმოსში პირველად გაფრინდა ამერიკული ეკიპაჟი, იგი უკვე დუბლიორი იყო. იმ დღეებში კოსმოდრომზე, ფლორიდაში, მან პირველად გაიგონა ეს სახელი — ალექსი ლეონოვი. რუსმა ჭაბუკმა რაღაც ფანტასტიკურ რამ გააკეთა: ხომალდიდან გავიდა და ღია კოსმოსში „იცურა“. რას იფიქრებდა, რომ ათი წლის შემდეგ კოსმოსში ძმად შეეფიცებოდნენ ერთმანეთს — მაშინ საბჭოთა და ამერიკელი კოსმონავტების ერთობლივი ფრენა უფრო წარმოუდგენელი იყო, ვიდრე კოსმოსში გასვლა.

სტაფორდი წვრილან გადიოდა ხაზელგანთქმულ უოლტერ შირასთან ერთად. შირა ერთადერთი ასტრონავტი იყო, რომელმაც სამივე ამერიკულ ხომალდზე იფრინა — „მერკურიზე“, „ჯემინისა“ და „აპოლონზეც“. 1965 წლის ოქტომბერში ისინი ერთად უნდა გაფრენილიყვნენ და უპილოტო რაკეტას „ჯეენას“ შეპირაპირებოდნენ, მაგრამ „ჯეენა“ აფრენისთანავე ნაწილ-ნაწილ დაიშალა. გაფრენა გადაიდო.

ზოგიერთ ადამიანზე იტყვიან „იღბლიანია“ — ბედი ყოველთვის მისკენ არის. სტაფორდზე კი შეიძლება ითქვას „ანტიიღბლიანი“.

რაკეტასთან შეპირაპირება შეიცვალა ორი ბრიგადრიერული ხომალდის ერთობლივი ფრენით. ჯერ გაფრინდნენ ლოველი და ბორმანი „ჯემინი-7“-ით, შირა და სტაფორდი კი უნდა დასწეოდნენ მათ „ჯემინი-6“-ით. ისინი ხომალდში ისხდნენ და უკვე გისმა კიდევ ბრძანება „ჩართეთ“, უკვე გუგუნებდნენ კიდეც „ტიტანი-2“-ის ძრავები, როცა რაკეტის ბოლოდან გამოვარდა კონტროლის ჯაჭვის ელექტრული გასართი. საავარიო სისტემას ძრავები რომ არ გამოეთიშა, ორივე სტარტზეევე დაიფეპრთოდა. მაშინ მათ არც კი იცოდნენ, რომ მეორე სასიკვდილო საფრთხე ელოდათ — ვიდაცის დაუდევრობით ხომალდის მაგისტრალებში წნევა მატულობდა და მატულობდა. ერთი მილიც რომ გამსკდარიყო, აფეთქებაც ზედ იყო. მათ ესმოდათ ხელსაწყოების ენა და შიგნეული ჭქონდათ საფრთხე, მაგრამ გადაწყვეტის არ მოეზდინათ კატაპულტირება, 15 წამის შემდეგ კი საკმაზედო პუნქტს აცნობეს — წნევა იკლებსო. ზოგჯერ ასეთი 15 წამი საუკუნეს უდრის... სამი დღის შემდეგ, კი ისინი კოსმოსში უკვე კვალში ედგნენ ლოველისა და ბორმანის ხომალდს.

„ჯემინი-9“-ის მეთაური ჩარლზ ბასეტი ავიაკატასტროფაში დაიღუპა სტარტამდე ოთხი თვით ადრე და სტაფორდი მის მაგივრად გაამეა იუჯინ სერნანს. ტექნიკა ისევ გაჭირვეულდა. 17 მაისიდან სტარტი 1 ივნისისათვის გადადეს. მაგრამ 1 ივნისსაც, სტარტამდე 100 წამით ადრე კვლავ გამოაცხადეს შეფერხება. ამას კიდევ ორი შეფერხება მოჰყვა. და მხოლოდ კოსმონავტს შეუძლია გაიგოს, თუ რას ნიშნავს ამაოდ ელოდო და გამოძვერა ხომალდიან...

მთავარის ეპიპაჟი თომას სტაფორდს პატივსაცემი და ამავე დროს მწარე ხვედრი ხვდა. იგი დანიშნეს „აპოლონ-10“-ის მეთაურად, ხომალდისა, რომელსაც უკანასკნელი რეპეტიცია უნდა ჩაეტარა მთვარეზე დაჯდომის წინ. მიდი ფრენა „სნუპი“ მთვარის გარშემო ტრიალებდა 12.8 კილომეტრის სიმაღლეზე. როცა დრო დადგა გაეთიშათ „სნუპის“ საფეხურები, ისინი არ გაითიშნენ. სტაფორდმა თქვა: „მშვიდად!“ და გაიმეორა ბრძანება. კოსმონავტიანი კაბინა, როგორც იქნა განცალკევდა, მაგრამ ბზრიალასავით დატრიალდა — ვერ გაარჩევდი, სად იყო „ზევით“ და სად „ქვევით“. სერნანს მოეწვენა, მთვარეზე ვვარდებითო, და სტაფორდმა ისევ თქვა — „მშვიდად!“. გამოთიშა ავტომატიკა და მართვა თვითონ იკისრა. მაჯისცემა 140-მდე აუვარდა...

და აი ახლა ზოგჯერ მას ეკითხებიან ხოლმე, თუ რატომ გამოიყურება იგი თავის 45 წელზე უფრო ხნიერად...

დონალდ სლეიტონი

ხომალდ „აპოლონის“ შესაპირაპირებელი მოდულის მეთაურს, დონალდ სლეიტონს მარტში 54 წელი შეუსრულდა. მასზე ხნიერი კოსმოსში ჯერ არავინ ყოფილა. ამასთან შეიძლება ყველაფერი სხვანაირად ყოფილიყო, რომ...

როცა იგი მეორე მსოფლიო ომიდან სახლში დაბრუნდა, სწავლა გადაწყვიტა და მალე საავიაციო ინჟინერი გახდა. შემდეგ დაამთავრა მფრინავ-გამომცდელთა სკოლა. ბევრი იფრინა. საქმე უამრავი ჰქონდა. „ამ ორომტრიალში მან ძლივს მოახერხა ეპოვნა წუთი და დაქორწინებულიყო ლოსანჯელესელი ფერმერის ქალიშვილზე მარჯორი ლანიზე, — წერს ერთ-ერთი ამერიკული ჟურნალი. — 1957 წელს მათ ვაჟი ეყოლათ...“ ეს ერთადერთი ბავშვია სლეიტონების ოჯახში.

მალე ამის შემდეგ, 1959 წლის აპრილში იგი ამერიკელ ასტრონავტთა პირველ შვიდეულში ჩარიცხეს.

სლეიტონი დანიშნეს „ვოსტოკ-7-ის მეთაურად. ეს იყო მეორე ამერიკული ორბიტალური ხომალდი. მაგრამ 1962 წლის 15 მარტს სტარტამდე ორი თვით ადრე ექიმებმა მას გაფრენის ნება არ მისცეს, გულის რიტმში შეფერხებები აღმოუჩინეს. მის მაგივრად დედამიწის გარშემო სამი ხვეული კარპენტერმა გააკეთა.

იგი მეურნალობდა ამერიკის შეერთებული შტატების სახელგანთქმულ კარდიოლოგებთან. შეფერხებები ზოგჯერ შეწყდებოდა ხოლმე დედამიწაზე თვით, მაგრამ მალე ისევ იჩენდა თავს. ჰიუსტონში ამბობდნენ: „ყველამ დაკარგა იმედი, რომ დიკი (ასე ეძახიან მას მოფერებით) ოდესმე გაფრინდებოდა, ყველამ, მის გარდა“. წლები კი გადიოდა.

1970 წელს შეფერხებები შეწყდა. 1972 წლის გაზაფხულზე ათი წლის შემდეგ — იგი კოსმოსში გაფრენისათვის ვარგისად ცნეს. მაგრამ... ყველა ადგილი ყველა ეკიპაჟში უკვე შევსებული იყო. შემდგომი გაფრენები კი ხხოლოდ 1978-79 წლებისათვის იყო დაგეგმილი. მას რჩებოდა ერთადერთი შანსი — ეპასი. წოსკოვში ჯერ კიდევ ხელმოწერილი არ იყო უმაღლეს დონეზე შეთანხმება ერთობლივი გაფრენის შესახებ, როცა სლეიტონმა რუსული ენის შესწავლა დაწყო.

— ცოობს იყო 50 წლის ახალბედა, ვიდრე 50 წლის უიღბლო,— ამბობს სლეიტონი. იგი თავის გაფრენას ელოდა 5931 დღეს.

ვენს ბრანდი

მაღალი, ქერა, როგორღაც ძალიან დიდი, მსხვილი ბიეფფსებითა და ღია ბავშვური ღიმილით, როგორიც ხშირად აქვთ ხოლმე ძლიერ და კეთილ ადამიანებს. ვენს ბრანდი — „აპოლონის“ საკომნდო მოდულის პილოტი ყველას რაღაც საოცრად უყვარს პილოტირებული გაფრენების ჰიუსტონის ცენტრში.

იგი ავიაციაში შემთხვევით ხოლოდა. არასდროს არ უფიქრია მფრინავი გამხდარიყო. და აი როცა საკოსმერციო მიცნიერების კურსი დაასრულა, ჯარში გაიწვიეს და ავიაციაში გაამწესეს. ასე გახდა იგი მფრინავი. სწორედ ამ დროს შეხედა ჩიკაგოელ ქალიშვილს — ჯოანს, და მკვეთრად შებრუნდა მისი ცხოვრება. მან გადაწყვიტა — აუცილებლად იფრინა და აუცილებლად ცოლად შეეროთ ჯოანი. როცა ისინი პირველად ელოდნენ (ახლა ბრანდებს ოთხი შვილი ჰყავთ), ვენსი იაპონიაში მიავლინეს. და ოჯახიდან შორს გადაწყვიტა მან — თავი დაენებებინა სამხედრო სამსახურისათვის. ვენსმა მუშაობა დაიწყო „ლოკჰიდის“ ფირმაში მფრინავ-გამომცდელად.

1966 წელს განცხადება შეიტანა ნასა-ში, თხოვნით — ჩაერიცხათ ასტრონავტთა რაზმში. იმ დროისათვის რაზმში უკვე თავი მოეყარათ გამოცდილ, ვეტერან ასტრონავტებს, რომლებიც კოსმოსში ორ-ორჯერ იყვნენ ნაფრენი. ბრანდის ხომალი ბინდით იყო მოცული. 1966 წლის გაწვევის ასტრონავტებიდან ბევრი წავიდა. ბრანდი კი დარჩა. 8 წელიწადს ირიცხებოდა რეზერვში. იგი რისკს წევდა დარჩენილიყო მუდმივ დუბლიორად, როცა ახალი დანიშნულება მიიღო — საბჭოთა-ამერიკული პროგრამის ძირითად ეკიპაჟში ჩარიცხეს.

„სოიუზის“ ეკიპაჟი

ალექსი ლეონოვი,

ხომალდის მეთაური

ალექსი ლეონოვის ბიოგრაფია ბევრჯერ დაბეჭდილა — კოლმეურნის შვილი, მერვე ბავშვი ოჯახში. გამარჯვების წელს იგი 11 წლისა იყო და ყველაფერი კარგად ახსოვს. ძალიან ძნელი ბავშვობა ჰქონდა. სივწროვეში, ხელმოკლედ ცხოვრობდნენ, ცუდად ეცვა და ხშირად მშიერი იყო.

და აი თავისი პირველი ისტორიული გაფრენის შემდეგ ჯალინინგრადის ვაგონ-საშენებლო ქარხანაში გაბართულ მიტინგზე ლეონოვმა თქვა:

— ზოგჯერ ამა თუ იმ კაცზე იტყვიან, როგორც კი ცოტათი მაინც სახელგანთქმული გახდება, ხალხიდან გამოვიდაო... ნუ იტყვით ამას ჩემზე. მე არსად წავსულვარ თქვენგან, მე ყოველთვის თქვენთან ვარ. კოსმოსში მიმავალი ყველა გზა მიწაზე იწყება და მე, უბრალოდ, თქვენს მიერ მივლინებული ვარ იქ, მუშათა კლასის საგანგებო დავალებით.

1960 წელს მან გაიარა მეტად მკაცრი და კრიკეტა კომისიების გამოცდა. და პირველ, „გაგარინულ“ კოსმონავტთა რაზმში ჩარიცხა, ხოლო 1965 წლის მარტში უკვე სატარტო მოედანზე სერი პაალუძე კოროლიოვმა მას ხელი მოხვია და ჩუმად უთხრა:

— მე ბევრს არაფერს არც გირჩევ და არც გისურვებ, ლეონა. მხოლოდ ერთ რამეს გთხოვ: შენ ოღონდ გამოდი ხომალდიდან და ისევ შებრუნდი ხომალდში. ეს არის და ეს.

და მან გააკეთა კიდეც ეს.

ერთხელ ლეონოვი „ვოსმოსურ“ სტატას თარგმნიდა გერმანული ჟურნალიდან და უცნობ ზმნას წააწყდა — „ლეონრეფ“. დიდხანს ეძიება ლექსიკონებში, მაგრამ ვერ ნახა. შემდეგ როგორღაც ერთ-ერთი ოფიციალური მიხედა: „ეს ხომ ლეონოვობაა, ე. ი. ღია კოსმოსში ფრენა“. როცა შენი გვარიდან ზმნებს ქმნიან, ეს უკვე ბევრად მეტია, ვიდრე სახელგანთქმულობა.

ვალერი კუბასოვი

„სოიუზ-აპოლონის“ ეკიპაჟში ვალერი კუბასოვი ერთადერთია, სამოქალაქო პროფესია რომ აქვს. მეორე, განმასხვავებელი ნიშანი კი ის არის, რომ იგი გაფრენას ყველაზე ახალგაზრდა მონაწილეა. როგორია იგი, კუბასოვი? მის დახასიათებაში არის ასეთი სიტყვები: „ხასიათით მშვიდია, პრინციპული, დაჟინებული და საქმიანი“.

გაცნობისას კუბასოვი თითქოს მუდამ რაღაცით დაკავებულ ადამიანს ჰგავს. იგი არავის უნახავს აფუფუსებული, აჩქარებული. დინჯი უფროა. მოძრაობაში, მანერებსა და ინტონაციაშიც რაღაც აუჩქარებელი სიღრმე ეტყობა. სწორედ ასეთი სიდინჯის წამახალისებელი და ადმზრდელი იყო ხოლმე კოსმონავტებში აკადემიკოსი სერგი პაალის-ძე კოროლიოვი, რომლის საკონსტრუქტორო ბიუროშიც დაიწყო ვალერიმ მუშაობა მოსკოვის საავიაციო ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ.

ამ ბოლო შვიდ წელიწადში ვალერი კუბასოვის ცხოვრებაში „სოიუზის“ ჯაფრენამდე არაერთი მნიშვნელოვანი რამ მომხდარა, რომლიდანაც მის ოჯახში ორ მთავარს გამოჰყოფენ:1) კატუშა კუბასოვის ძმა — დიმა შეიმატა. და 2) მათი მამა კოსმოსური ხომალდ „სოიუზ-6“-ით გაფრინდა.

ამ ხომალდზე კი ვალერი კუბასოვმა პირველმა მოახდინა კოსმოსური შედუღება სამი სხვადასხვა ხერხით.

• • •

სურათზე: ხომალდების „სოიუზი“-ხა და „აპოლონ“-ის საბჭოთა და ამერიკელი ეკიპაჟები, რომლებიც მონაწილეობდნენ საბჭოთა კავშირ-ამერიკის კოსმოსურ ექსპერიმენტში. მარცხნიდან — დ. სლეიტონი, ვ. ბრანდი, თ. სტაფორდი, ა. ლეონოვი და ვ. კუბასოვი.

საკლესის ფოტოქრონიკა.



ლეიბორისტთა კონფერენცია

გლეიკაული, (საკლესი). ლეიბორისტული პარტიის ბლეკპულის უოველწლეული კონფერენციის ტრიბუნიდან გაისმა დაბეჯითებული მოთხოვნები, რომ მთავრობამ ხანგრძლივად განაზორციელოს ღონისძიებანი ქვეყანაში უმუშევრობისა და სიღვირის სწრაფი ზრდის შესაჩერებლად.

კონფერენციის დელეგატებმა ბაზგასმით აღნიშნავდნენ, რომ ინგლისის მუშათა კლასს ახლა ელის ისეთივე ტრაგედია, როგორიც 30-იანი წლების დამდეგს გადაიტანა, როცა მილიონობით მშრომელი უმუშევარი დარჩა. როგორც მანქანათსაშენებელი მრეწველობის მუშაკთა გაერთიანებული პროფკავშირის თავმჯდომარემ ჰ. სკენლონმა აღნიშნა, განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაშია ათასობით ახალგაზრდა ინგლისელი, რომლებისთვისაც სკოლის დამთავრების შემდეგ დარჩა ერთად ერთი გზა — ჩადგნენ რიგში უმუშევრობის გამო დახმარების მისაღებად. ისევე როგორც სხვა დელეგატებმა, ჰ. სკენლონმა მოითხოვა, რომ დასაქმების პრობლემა გადაიჭრას წარმოების გაფართოების, სამხედრო ხარჯების შემცირებისა და კაპიტალის ექსპორტის შეზღუდვის ხარჯზე კაპიტალური დაბანდების გადიდების გზით.

ინგლისის პრემიერ-მინისტრმა ჰ. ვილსონმა თავისი გამოსვლის მნიშვნელოვანი ნაწილი საერთაშორისო პრობლემებს მიუძღვნა. საბჭოთა კავშირთან ურთიერთობების გაუჯობესებას მან უწოდა ლეიბორისტული მთავრობის საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მიღწევა. საბჭოთა კავშირ-ინგლისის უმაღლესი დონის შეხვედრა, რომელიც მოსკოვში გაიმართა გასულ თებერვალს, აღნიშნა ჰ. ვილსონმა, შემობრუნების პუნქტი გახდა ინგლისისა და სსრ კავშირის ურთიერთობაში.

ქალები მშვიდობისათვის ბრძოლაში

ბოსტონი. აქ, რუსის მსხვილ სამრეწველო ცენტრში, დამთავრდა ქალთა საერთაშორისო სემინარი თემაზე „ქალები — ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობისათვის“. სემინარის მუშაობაში მონაწილეობდნენ მთელი რიგი ქვეყნების წარმომადგენლები, მათ შორის საბჭოთა დელეგაცია. სემინარის მონაწილეებმა განიხილეს მშვიდობის უზრუნველყოფისა და სხვადასხვა საზოგადოებრივი სისტემის ქვეყნების თანამშრომლობის გაფართოების საკითხები.

**ხართუმი. აქ მუშაობა დაამთავრა ქალის საერთაშორისო წლისადმი მიძღვნილმა საერთაშორისო კონფერენციამ — „აფრიკისა და აზიისა“. ამ კონფერენციას მონაწილეობა მიიღეს ამერიკელ ქალებმა, ინდოელ ქალებმა, ეგვიპტელ ქალებმა, ეთიოპელ ქალებმა, ინდონეზიელ ქალებმა, ალჟირელ ქალებმა, ბანგლადეშელ ქალებმა, ბურკინა-ფასელ ქალებმა, ბურუნდელ ქალებმა, ბენინელ ქალებმა, ბოტსვანელ ქალებმა, ბურმელ ქალებმა, ბურგელ ქალებმა, ბურგელ ქალებმა, ბურგ

„სოიუზ-აპოლონი“ ...პამირზე

□ ქართველ მთამსვლელთა ახალი გამარჯვება — ოთხი მწვერვალი ერთ ექსპედიციაში □ მოსკოვის პიკზე ურთულესი კედლით

ᲐᲮᲚᲐ, როცა ყველა ჩვენგანი გულმხურვალედ მივესალმებით კოსმოსში ორი დიდი ქვეყნის — საბჭოთა კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების ერთობლივი გაფრენის მონაწილეებს, რაც უაღრესად მნიშვნელოვანი აქტია ხალხთა ცხოვრებასა და მეცნიერებაში, ქართველი მთამსვლელებიც პამირის მწვერვალებიდან კვლავ გამარჯვებულნი დაგვიბრუნდნენ. მათ ურთულეს მეტეოროლოგიურ პირობებში საბჭოთა-აღმოსავლეთი კედლიდან დაიპყრეს მოსკოვის პიკი და გარდა ამისა ადამიანებისაგან ჯერ აუსვლელი მწვერვალი, რომელსაც პირველდამპყრობთა უფლებით „სოიუზ-აპოლონი“ უწოდეს.

ეს გამარჯვება ლოგიკური შედეგია იმ ახალი ეტაპისა, რომელიც საბჭოთა თმამსვლელობის ისტორიაში 1954 წელს დაიწყო. ამ ხნის განმავლობაში ქართველმა მთამსვლელებმა სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელის ოთარ გიგინეიშვილისა და ალექსი ივანიშვილის ხელმძღვანელობით ორ ათეულზე მეტი მწვერვალი დაიპყრეს, რომელთაგან დიდ უმეტესობაზე ადამიანი პირველად ავიდა.

ერთ-ერთი დიდი გამარჯვება იყო 1956 წელს მოსკოვის პიკის დაპყრობაც. მაშინ მოსკოვის პიკზე დასავლეთი ქედით ავიდნენ დიმიტრი ობოლაძე (ხელმძღვანელი), ჯუმბერ მეძმარაიშვილი, თეიმურაზ კუხიანიძე, ლევან და ზურაბ ახვლედიანები, რევაზ ხაზარაძე.

1972-1973 წლების ხიმაღლოვანი ექსპედიციების ხპორტულმა შედეგებმა (ასვლებმა კომუნიზმისა და კორჟენევსკაიას მწვერვალებზე) უფლება მისცა ქართველ მოსიმაღლე თმამსვლელებს უფრო რთული და პასუხსაგები ამოცანის გადაჭრაზე ეფიქრათ.

და აი ასეთ ამოცანად წლევანდელი ზაფხულისათვის მოსკოვის პიკზე სამხრეთ-აღმოსავლეთის ურთულესი ქედით ასვლა იქნა დასახული. და თუმცა თმამსვლელთა ერთი ნაწილი მოსიმაღლეთა ამ არჩევანს ფრიად სკეპტიკურად შეხვდა, რადგან დასახული მიზანი, მარშრუტის უკიდურესი სიძნელის გამო, განუხორციელებლად მიაჩნდათ, საქართველოს თმამსვლელთა ფედერაციამ რუსეთის სპორტკომიტეტის ხელმძღვანელობასთან ერთად, საგანგებოდ შეიწვევა ასეთი რთული ღონისძიებისათვის მოსიმაღლე გუნდის მზადყოფნის საკითხი და ექსპედიციის პამირში გამგზავრების დასტური მისცა.

ისევე, როგორც 1972-1973 წლებში, ხიმაღლოვანი ექსპედიციის ხელმძღვანელად დაინიშნა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტი, სპორტის ოსტატი შოთა მირიანაშვილი, ხელმძღვანელის მოადგილედად — სპორტის ოსტატი ოთარ ხაზარაძე და თამაზ ვაშაძე. გუნდის მწვრთნელად — სპორტის ოსტატი გიორგი აბაშიძე, ხოლო მოიერიშე ჯგუფის კაპიტნად — სპორტის ოსტატი დიმიტრი დანგაძე.

მოიერიშე ჯგუფში, გარდა კარგად ცნობილი ოთხეულისა (დ. დანგაძე, გ. აბაშიძე, ო. ხაზარაძე, შ. მირიანაშვილი), რომელიც ჯერ კიდევ 50-60-იანი წლების ხიმაღლოვან ექსპედიციებში მონაწილეობდა და არაერთხელ მოუპოვებია წარმატება ალპინიზმის საკავშირო საკონკურსო ასვლებზე, შეყვანილი იქნენ აგრეთვე ახალგაზრდა სპორტის ოსტატობის კანდიდატები შაქრო გაბინიანი და სერგო ბარლიანი, რომლებმაც უკანასკნელი წლების ექსპედიციებში თავი გამოიჩინეს როგორც მაღალი კლასის მოსიმაღლე მთამსვლელებმა. აღსანიშნავია, რომ როგორც ს. ბარლიანმა, აგრეთვე შ. გაბისიანმა 1973 წელს, საქართველოს მოსიმაღლე მთამსვლელთა ნაკრებთან ერთად საკავშირო ჩემპიონატის ბრინჯაოს მედლები დაიმსახურეს სიმაღლოვანი ასვლების კლასში, ხოლო ს. ბარლიანი წლეულს მოსკოვის პიკის იერიშის დაწყებამდე, საბჭოთა კავშირის ნაკრებ გუნდთან ერთად ავიდა ჩვენი ქვეყნის უმაღლეს მწვერვალზე — კომუნიზმის პიკზე.

დამხმარე ჯგუფი ოთხი ახალგაზრდა მთამსვლელით განისაზღვრა. ესენი იყვნენ თემურ ახალაია, დავით ბაიდაური, ტარიელ გურგენიძე და ვაჟა ჩაგელიშვილი. ექსპედიციას ახლდა ექიმი და რადისტი ქალაქ დუშანედან.

დამხმარე ჯგუფის წევრებისათვის მიმდინარე წლის ექსპედიცია პირველი გამოცდა იყო სიმაღლოვან ალპინიზმში და ძალზე სასიხარულოა, რომ მათ ეს გამოცდა წარჩინებით ჩაბარეს; დამხმარე ჯგუფის წევრებმა რამდენიმე საკმაოდ რთული სიმაღლოვანი ასვლა განახორციელეს 6.000 მეტრზე მაღალ მწვერვალებზე და, რაც მთავარია, ძალა და ენერგია არ დაუზოგავთ, რათა ექსპედიციის ძირითადი მიზანი — საკონკურსო ასვლა მოსკოვის პიკზე — წარმატებით დაგვირგვინებულიყო.

მორეულ სამთო რაიონებში ალპინისტური ექსპედიციების წარმატება თუ წარუმატებლობა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ექსპედიციის საორგანიზაციო საკითხების ოპერატიულ მოგვარებაზე: ექსპედიციის მომზადება საჭირო აღჭურვილობითა და კვების პროდუქტებით, საბაზო თუ საშუალედო ბანაკების მოწყობა, ექსპედიის უზრუნველყოფა რადიოკავშირით, მწვერვალის მისადგომებთან ვერტმფრენავით საჭიროებისა და საკვების შესროლა და მრავალი სხვა. ყოველივე ეს საკმაოდ რთულ და შრომატევად მუშაობას მოითხოვს. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ექსპედიციის უფროსის მოადგილემ საორგანიზაციო დარგში თამაზ ვაშაძემ შესანიშნავად გაართვა თავი ამ რთულ სამუშაოს, რამაც უთუოდ გარკვეული როლი შეასრულა ექსპედიციის გამარჯვებაში. აღსანიშნავია ისიც, რომ თ. ვაშაძემ მონაწილეობა მიიღო მოიერიშე ჯგუფის პირველ გასვლებშიც და საიერიშო ბანაკის მოწყობაში 6.000 მეტრის სიმაღლეზე.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, აგრეთვე ის დიდი დახმარება, რომელიც ქართველ მოსიმაღლე მთამსვლელთა ექსპედიციას ტაჯიკეთის სამოქალაქო ავიაციის ვერტმფრენავების ჯგუფის პილოტებმა ვ. მალახოვმა და ი. ივანოვმა გაუწიეს. პილოტებმა შეძლეს. მწვერვალის იერიშისათვის საჭირო საჭურველი და საკვები პროდუქტები საღრანის მყინვარის სათავეესთან, უშუალოდ მოსკოვის პიკის მისადგომებთან „აესროლათ“, რამაც ჩვენს მოსიმაღლეებს საშუალება მისცა საერანის გრანდიოზულ მყინვარზე ტვირთის ზიდვის ნაცვლად დანაზოგი დრო სპორტული ასვლებისა და საკონკურსო ტრასის დამუშავებისათვის გამოეყენებინათ.

მოსკოვის პიკის შტურმის დაწყებამდე, როგორც მოიერიშე, ისე დამხმარე ჯგუფის წევრებმა საინტერესო ასვლები მოახდინეს მოსკოვის პიკის მახლობლად მდებარე მწვერვალებზე. ჩვენმა თმამსვლელებმა ახალი გზით დაიპყრეს უმაღლესი კატეგორიის სირთულის 6.435-მეტრიანი მწვერვალი — „საბჭოთა სახელმწიფოს 30 წელი“, რომელზეც 1947 წლის შემდეგ ასვლა აღარ განხორციელებულა, და 6.000 მეტრზე მეტი სიმაღლის სამი უსახელო, მანამდე დაუპყრობელი მწვერვალი.

არსებული წესის თანახმად, უსახელო მწვერვალზე პირველამსვლელებს უფლება ეხეჭებათ სახელი დაარქვან დაპყრობილ მწვერვალს და ქართველმა მოსიმაღლეებმაც, ცხადია, ისარგებლეს ამ უფლებით.

ქართული მხატვრული სიტყვის დიდოსტატის — კონსტანტინე გამსახურდიას გარდაცვალება ჩვენმა მთამსვლელებმა პამირის მთებში შეიტყვეს და პირველსავე მწვერვალს, რომელიც მათ პამირში დაიპყრეს, „კონსტანტინე გამსახურდია“ უწოდეს (სიმაღლე 6.047 მ.), პამირში მიუვიდათ მთამსვლელებს სასიხარულო ცნობაც კოსმოსში საბჭოთა კოსმონავტებისა და ამერიკელი ასტრონავტების პირველი ერთობლივი გაფრენის წარმატებით დამთავრების შესახებ, და მწვერვალს, რომლის სიმაღლე 6.100 მეტრია, როგორც უკვე ვთქვით, „სოიუზ-აპოლონი“ ეწოდა. ხოლო მესამე მწვერვალს (სიმაღლე — 5.848 მ.) თმამსვლელებმა ტაჯიკეთის დედაქალაქის სახელი უწოდეს — „დუშანბე“, ქალაქისა, რომელიც წლების მანძილზე ასე ტუმართმოყვარულად მასპინძლობს ქართველთა ექსპედიციებს.

მოსკოვის პიკზე იერიშის დაწყება 15 აგვისტოსათვის იყო ნავარაუდევი, მაგრამ ძლიერი ქარბუქის გამო ტრასაზე გასვლა 18 აგვისტოსათვის გადაიდო. საერთოდ, ცენტრალური პამირი სტაბილური, კარგი ამინდებით ხასიათდება, მაგრამ მიმდინარე წლის ზაფხული ამ მხრივ იშვიათ გამონაკლისს წარმოადგენდა. ამინდის გაუარესება აგვისტოს დასაწყისშივე შეიმჩნევოდა, აგვისტოს შუა რიცხვებში კი ტემპერატურა მკვეთრად დაეცა, და ნაადრევად დაზამთრდა. მოსკოვის პიკის სამხრეთ-აღმოსავლეთი ქედი, რომელიც ძირითადად კლდოვანი ბასტიონებისაგან შედგება, ახალი თოვლით დაიფარა, რამაც ჩვენს მოსიმაღლეებს დამატებითი სიძნელეები შეუქმნა. ახალმოსული თოვლი მნიშვნელოვნად ზრდიდა ზვავისა და ქვათაცვენის შესაძლებლობას, ხოლო ვინაიდან კლდოვან მონაკვეთებზე ყოველი ახალი მეტრის დასაძლევად ჯერ თოვლის ფენის გადაბვეტა იყო აუცილებელი, იქმნებოდა ხელების მოყინვის რეალური საშიშროება.

მარშრუტის დაძლევას თმამსვლელებმა 12 დღე მოანდომეს. ეს იყო მომქანცველი შრომითა და ჯაფით დატვირთული, საშიშროებით აღსავსე დღეები; როცა თვითეული ნაბიჯი თმამსვლელთაგან ფიზიკური და სულიერი ძალების მაქსიმალურ დაძაბვას მოითხოვდა.

მოსკოვის პიკი ურთულესი გზით იქნა დაპყრობილი. უდავოა, რომ ეს ასვლა ქართველ თმამსვლელთა ბრწყინვალე გამარჯვებაა — ახალი, აღმავალი საფეხურია ქართული სასიმაღლო თმამსვლელობის განვითარების ისტორიაში.

დ. ᲒᲝᲜᲐᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ,
საქართველოს თმამსვლელთა ფედერაციის პასუხისმგებელი მდივანი.



ᲮᲣᲠᲐᲗᲔᲑᲖᲔ: (მარცხნივ) „სოიუზ-აპოლონის“ ქედზე; (მარჯვნივ ზემოდან) მწვერვალები „სოიუზ-აპოლონი“, „კონსტანტინე გამსახურდია“, „დუშანბე“ და „მოსკოვის პიკი“.

მ. მირიანაშვილის ფოტო.



სიბილწე სულს ღაფავს

ᲤᲔᲚᲔᲢᲝᲜᲘ

ᲗᲐᲛᲘ-ᲝᲗᲮᲘ წლის წინათ ვის მოუვიდოდა აზრად, რომ გოგი შელიას მწარე ჟამს ზხარში ამოუდგებოდა არც ერთი ძმაკაცი. ამა ვინ იფიქრებდა, რომ შელია მარტოდმარტო დარჩებოდა თავის უდიმლამო პერსპექტივების პირისპირ?

ეს ის გოგი შელიაა, ინგირის კოოპკავშირის უფროსი ბუღალტერი, რომელიც თითქოს ყველაზე დიდი და გამორჩენილი პიროვნება იყო ქალაქ ზუგდიდსა და მის შემოგარენში! დიახ, ეს ხომ ის შელიაა, რომლის მეგობარ-ამხანაგებსა და დამცველ-მფარველებს შორის იყვნენ გამგეები და მმართველები, ინსტრუქტორები და ინსპექტორები, დირექტორები და უფროსები, მოსამართლეები და პროკურორები...

და განა მარტო იყვნენ! მთელ მის ჭირ-ვარამს საკუთარივით იზიარებდნენ, საჭირო ჟამს მკერდით იცავდნენ, თავს სდებდნენ, თეთრს შავად ასაღებდნენ, შავს — თეთრად, მწვანეს კი იმ ფერს უწოდებდნენ, რომელიც შელიას სურდა.

და დაბეთ, ყოველივე ამას ბოლო მოეღო. ძმაკაცებიც გაჭრნენ და მფარველებიც. რით დაიწყო ყოველივე ეს?

ძალიან მარტივად. შელიას „მამულში“ მოვიდა ახალგაზრდა სპეციალისტი, ინგირის კოოპკავშირის რევიზორ-ინვენტარიზატორი ვ. თუთბერიძე. დაჯდა, მიმოიხედა, შეისწავლა და დაწერა ყველაფერი, რაც იყო — სასაძაგლენი, რომლებსაც აქ სჩადიოდნენ. და არა მარტო დაწერა, არამედ მოახსენა კიდეც ვისაც ჯერ არს, და დაიწყო ბრძოლა.

როგორ ფიქრობთ, შეეშინდა მაშინ ვ. შელიას? როგორ გეკადრებათ?

ვის რაში აინტერესებს ვიღაც რევიზორ-ინვენტარიზატორი, რომელიც ჩირქს სცხებს თვით გოგი შელიას? ან როგორ ბედავს? რასი იმედი აქვს?! განა არ იცის, რომ მისნაირი ინვენტარიზატორები იმდენია, რამდენიც რიყეზე ქვა! ნუთუ არ ესმის, რომ გოგი შელია თავის ძმაკაცებთან ერთად კუმშაშიანად გადასანსლავს ისეთებს, როგორიც ეს მოუსვენარი რევიზორ-ინვენტარიზატორია, და არათუ ყელზე არ დაადგება, არც კი ჩაახველებს.

ეი რომ, რევიზორ-ინვენტარიზატორ ვ. თუთბერიძეს აშკარა ქარაგმები არ ესმოდა და არც სურდა გაეგო. იგი განაგრძობდა მხილებას, სინათლეზე გამოჰქონდა ყველაფერი, რასაც გულდასმით უმალავდნენ გარეშე თვალს.

დასამალი კი ჰქონდათ. როგორც ჩანს, სამწუხაროდ, პირველ სიგნალებზე გაცილებით გვიან გამოირკვა, ზუგდიდში თითქმის ექვსი წლის მანძილზე — 1967-1972 წლებში, დაუსჯელად პარპაშებდა დამტაცებელთა ჯგუფი კოოპკავშირის უფროსი ბუღალტერის ვ. შელიას მეთაურობით. დამნაშავეები ყალბი საბუთებით, ბეუდებითა და ტარამპებით აფორმებდნენ სხვადასხვა ორგანიზაციებისათვის სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა ფიქციურ გადაცემას, უკანონოდ ჩამოწერდნენ ხოლმე. მათ ღირებულებას, ფულს კი იჯიბავდნენ. ბევრ მაღაზიაში დაუფარავად ვაჭრობდნენ უფიქტურო საქონლით, უხვად უმატებდნენ საცალო ფასებს, დამნაშავეთა ჯგუფმა 325 ათასი მანეთი მითვისა.

რა წინდაუხედავად, ბულუბრეველოდ და გაუფრთხილებლად მოქმედებდა რევიზორ-ინვენტარიზატორი ვ. თუთბერიძე, როცა გამფლანგველთა მხილებას ცდილობდა, რა მიუხვედრელი ყოფილა, ჯერ აცნობა ზუგდიდის რაიკომს, რომელსაც, რა თქმა უნდა, კრინტი არ დაუძრავს. რი დასკვნა უნდა გამოეტანა ოდნავ მაინც ჭკუამყოფელ კაცს? მეტად მარტივი — ეღირებინა თავისი არაკომპეტენტურობა, უსუსურობა და პირში წყალი ჩაეგუბებინა.

მაგრამ არა. ვ. თუთბერიძე განაგრძობს მოქმედებას — სიგნალს აძლევს ცეკავშირის გამგეობას. თითქოს არც კი აცია, რომ 1969-1973 წლებში ცეკავშირის გამგეობას არც ერთხელ არ შეუმოწმებია ზუგდიდის რაიონის სამომხმარებლო საზოგადოების საქმიანობა. საკითხია, ახლა რაღას იზამდა გამგეობა? სწორად მიხვდით, ისევე როგორც წინათ — არაფერს. ბევრი ასეთი სიგნალის მსგავსად ვ. თუთბერიძის სიგნალიც უყურადღებოდ დასტოვა.

როგორ, ფიქრობთ, ახლა, ბოლოს და ბოლოს, დაცხრა ვ. თუთბერიძე? სრულიადაც არა! მან ინგირის კოოპკავშირის დანაშაულებრივი თაღლითობა აცნობა პარტიის ზუგდიდის რაიკომს. მაგრამ...

ალბათ, უკვე მიხვდით? რა თქმა უნდა, შელიას ხომ რაიკომშიც ჰყავდა მეგობარ-ამხანაგები. ასე რომ საკვირველი არა არის რა, რაიკომში ზედიზედ ჩამოწერეს ვ. თუთბერიძის განცხადებები ყოველგვარი რეაგირების გარეშე, ზოგიერთი მათგანი კი ადმინისტრაციულ ორგანოებს გადაუგზავნეს.

მაგრამ ან ამათგან, ადმინისტრაციული ორგანოებისაგან რატომ უნდა მოველოდეთ სასწაულს. და სასწაული არც მომხდარა. იქიერ ხელმძღვანელთაგან ზოგ-ზოგებს, უკაცრაული პასუხია, არარად მიჭითანავა), თავის მხრივ, არათუ არ აღკვეთა კომუნისტ ვ. თუთბერიძის დევნა, რომელიც დანაშაულებრივი თაღლითობა ამხილა, არამედ.. პარტიდანაც კი გარიცხა იგი.

მაგრამ არც ეს იყო უკანასკნელი მოქმედება ტრაგიკომედიისა, რომელიც გოგი შელიამ შეთხზა და გაითამაშა თავის ძმაკაც-თანამტრრებთან ერთად. ქალაქ ზუგდიდის სასამართლო დარბაზში თავისებურ აპოთეზად გაისმა განაჩენი, რომელიც მოსამართლე ვ. ქანთარიამ წაიკითხა. ვ. თუთბერიძეს თავისუფლების აღკვეთა მეესაჯა.

უფრო მეტიც. მოსამართლე ვ. ქანთარიამ, რომელსაც არა თუ მართლმსაჯულების არაფერი გაეგება, არამედ იუმორის ელემენტიც სრული გრძნობაც კი არ ჰქონია, წაიკითხა განაჩენი და აქვე, საჯაროდ ჩამოართვა ვ. თუთბერიძეს ხელწერილი, რომ არ აღძრავდა საკასაციო საჩივარს.

დარბაზში სიცილი ატყდა. თუმცა იცინოდა მხოლოდ „რჩეული საზოგადოება“: წყლიდან მშრალად გამოსული გამფლანგველი გ. შელია და მისი ერთგული მფარველი ძმაკაცები, რომლებიც ჯერ-ჯერობით თავიანთ ადგილებზე დარჩნენ.

ყველანი ერთსულოვნად, მთელი ენერგიით, ცდილობენ, ამ ფაქტიდან ამოიღონ ეს ერთადერთი, ერთადერთი ... ეს ... ეს ... ეს